საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება № MOH 9 22 00000230

ქ. თბილისი 28/12/2022 წელი

COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტის ,,პაქსლოვიდის“ განაწილებისა და COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებში გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) ,,ნირმატრელვირ/რიტონავირის (პაქსლოვიდის) გამოყენება COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებში“ გზამკვლევი (დანართი N1);

ბ) მიმართვის ფორმა (დანართი N2).

2. ,,ნირმატრელვირ/რიტონავირის (პაქსლოვიდის) (შემდგომში - მედიკამენტი) მიღებისა და განაწილების წესი განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - განმახორციელებელი) უზრუნველყოფს ცენტრალიზებულად შესყიდული მედიკამენტის მიღებას და დასაწყობებას ქვეყნის მასშტაბით შემდეგი პრინციპით:

ა.ა) მედიკამენტების გარკვეული მარაგი განთავსდება სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ეროვნული ცენტრი) საცავში;

ა.ბ) ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს მედიკამენტის გადაცემას მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებისათვის (შემდგომში - სჯდ

ცენტრი), მათი წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, მარაგების გათვალისწინებით;

ა.გ) სჯდ ცენტრი უზრუნველყოფს მედიკამენტის გადაცემას ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევის მართვაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებებისთვის, მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, არსებული მარაგების გათვალისწინებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით.

ბ) მედიკამენტის დანიშვნას, ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული გზამკვლევის (დანართი N1) შესაბამისად, უზრუნველყოფს ე.წ. COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მართვაში ჩართული დაწესებულება:

ბ.ა) COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების ბინაზე დისტანციურ მართვაში ჩართული ონლაინ-კლინიკის/დაზღვევის ექიმი, რომელიც პაციენტის დანიშნულებას ასახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - ,,112"-ის (შემდგომ ტექსტსა და დანართებში - ,,112") პროგრამული უზრუნველყოფის ბაზაში;

ბ.ბ) COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მართვაში ჩართული ექიმი.

გ) მედიკამენტის გაცემა ბენეფიციარზე/მის წარმომადგენელზე ხორციელდება:

გ.ა) COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მართვაში ჩართული დაწესებულების მიერ;

გ.ბ) სჯდ ცენტრების მიერ COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მართვაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული მიმართვის ფორმისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

დ) ამბულატორიულ პაციენტებზე გაიცემა მედიკამენტის ხუთი დღის სამყოფი ოდენობა (5 ფირფიტა);

ე) მედიკამენტის გამოყენება შესაძლებელია ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში, იმ პირობით, რომ მათ აქვთ მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის COVID-19, იმყოფებიან დაავადების დამძიმების მაღალი რისკის ქვეშ და სიმპტომების დაწყებიდან არ არის გასული 5 დღეზე მეტი. თუ ჰოსპიტალიზებული პაციენტი ეწერება ბინაზე მეთვალყურეობისთვის და ამასთან, არ არის დასრულებული მედიკამენტის მიღების სრული კურსი, დაწესებულება ვალდებულია პაციენტს გადასცეს კურსის დამთავრებამდე მედიკამენტის საჭირო რაოდენობა;

ვ) მედიკამენტთან დაკავშირებული დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში პაციენტმა უნდა მიმართოს მკურნალ ექიმს ან დაუკავშირდეს 1505-ს.

3. ამ ბრძანების მიზნებისთვის:

ა) COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მართვაში ჩართული დაწესებულება ვალდებულია:

ა.ა) უზრუნველყოს მედიკამენტის რაოდენობრივი აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში (ჟურნალის ფორმა მტკიცდება განმახორციელებლის მიერ);

ა.ბ) გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაცია ყოველდღიურად, დადგენილი ფორმის შესაბამისად, ელექტრონული ფოსტით (reporting@moh.gov.ge) მიაწოდოს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს - მედიკამენტის გვერდითი მოვლენების ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაჯგუფებას და მოთხოვნილი წესის შესაბამისად მწარმოებლისთვის მიწოდებას;

ა.გ) მედიკამენტის ხარჯვის შესახებ ანგარიში თვეში ერთხელ, არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვისა, წარუდგინოს სჯდ ცენტრებს განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული ანგარიშგების ფორმის შესაბამისად.

ბ) სჯდ ცენტრი ვალდებულია განახორციელოს სამედიცინო დაწესებულებებიდან მიღებული და უშუალოდ ბენეფიციარებზე გაცემული მედიკამენტის ხარჯვის ამსახველი საანგარიშგებო ფორმები თვეში ერთხელ, არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, წარუდგინოს ეროვნულ ცენტრს;

გ) ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს განმახორციელებელთან შემდეგი საანგარიშგებო დოკუმენტების წარდგენას:

გ.ა) სჯდ ცენტრებისთვის გადაცემული მედიკამენტების ანგარიში;

გ.ბ) სჯდ ცენტრებიდან მიღებული მედიკამენტების ხარჯვის თაობაზე ყოველთვიური საანგარიშგებო ფორმები.

დ) მედიკამენტის ხარჯვისა და ბრუნვის შესახებ საანგარიშგებო ფორმებს ამტკიცებს პროგრამის განმახორციელებელი.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტის ,,პაქსლოვიდის“ განაწილებისა და COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებში გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 29 მარტის N01-158/ო ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი